საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 93

20/2 წ. "13" 03

ქ. თბილისი

შპს - ბრიტანულ ქართული აკადემიის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - ბრიტანულ ქართულ აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 204497829) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით.
2. შპს - ბრიტანულ ქართულ აკადემიას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 316-ით.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №9 სხდომის ოქმის მე-6 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კახნიაშვილი

მდივანი
ანა კლდიაშვილი